# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 74 | ხუთშაბათი, 12 დეკემბერი 1902 წ. | გაზეთის № 2011.

# სიმართლე

უკანასკნელი რომანი

ზოლასი

თარგმანი ფრანგულიდან.

## წიგნი პირველი

(შემდეგი)

უბრალო ჩითის პენუარში რახილი ისეთი ლამაზი იყო, რომ, როდესაც გამოჩნდა, ყველას სახეზე გაკვირვება და ლმობიერება დაეტყო. ნამდვილი ებრაელის სილამაზე ჰქონდა: მოგრძო, მომხიბლავი სახე, გასაოცარი შავი თმა, დიდრონი ალერსიანი თვალები, წითელი ტუჩები, თეთრი და უმტვერო კბილები. მთლად სიყვარულით ჰღვიოდა; თავის ქმარ-შვილებთან შეკეტილს, ისე როგორც აღმოსავლეთის ქალია ხოლმე თავის პატარა საიდუმლო ბაღში შეკეტილი, იმას სხვა არაფერი არ აღელვებდა. სიმონი კარებს ჰხურავდა, როდესაც შევარდა ორი ჩასუქებული ბავშვი—იოსები და სარა, ერთი ოთხისა, ხოლო მეორე ორის წლისა; თუმცა ბავშვებს აუკრძალეს ძირს ჩამოსვლა, მაგრამ ისინი მაინც შემოცვივდნენ დარბაზში და დედის კალთას ამოეფარნენ; მოსამართლეების ნება-რთვით ბავშვები დარბაზში დასტოვეს. ლა-ბისსონიერმა, ქალის სილამაზით მოხიბლულმა, ზრდილობიანად დაუწყო სალამურის ხმაზედ ქალს გამოკითხვა.

— შუაღამეს ოცი წუთი აკლდა, როდესაც თქვენი ქმარი დაბრუნდა?

— დიაღ, ბატონო! ჩემმა ქმარმა დაჰხედა საათს და მერე დაწვა. სანთელი ჩამქრალი იყო, დაბლა ხმით ვლაპარაკობდით, რომ ბავშვებს არ გაჰღვიძებოდათ; ამ დროს თორმეტმა საათმა დაჰკრა.

— ვიდრე თქვენი ქმარი დაბრუნდებოდა, თერთმეტის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდე, არაფერი არ გაგიგონიათ, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი, ან რამე ბრძოლა და შეკავებული ყვირილი?



ობლები.—სურათი რიცის.

— არა, ბატონო, სრულიად არაფერი! მე მეძინა და მხოლოდ ჩემის ქმრის შემოსვლამ გამომაღვიძა. საკმაოდ ავად ვიყავი და როდესაც ქმარმა უკედა მნახა, გაუხარდა, იცინოდა; ისე მხიარულად ხუმრობდა და,მკოცნიდა, რომ კიდეც ვთხოვე, დამშვიდებულიყო, რათა სხვები არ შეგვეწუხებინა—ისეთი სიჩუმე იყო გარშემო. ოჰ! რას ვიფიქრებდით, რომ ასეთი საშინელი უბედურება დაგვატყდებოდა.

ქალი ძალიან აღელვებული იყო, ცრემლები ნიაღვარსავით ჩამოსდიოდა ლოყებზე. თავი მობრუნებული ჰქონდა ქმრისაკენ, თითქოს იმაში უნდოდა მოეძებნა ნუგეში და ღონე ამ უბედურების ასატანად. სიმონმაც, დაინახა რა ცოლის ცხოვრება, დაივიწყა სად იყო, გადაეხვია და თვითონაც ტირილი დაიწყო. ბავშვებმა შეწუხებულის თვალებით დაუწყეს ცქერა. ისეთი ამაღელვებელი სურათი იყო, რომ ყველას შეებრალა ცოლქმარი, ყველას გული ლმობიერებით აევსო.

— მე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა იმ დროს სიმონის დაბრუნება, რადგან მატარებელი იმ დროს არ მოდიოდა— განაგრძო კვლავ ქ-ნმა სიმონმა,—როდესაც დაწვა, ყველაფერი დეწვრილებით მიამბო...

—დიაღ,—ახსნა სიმონმა,—არ შემეძლო რომ ნადიმზე არ წავსულიყავ! ისე შევწუხდი, როდესაც ათ საათ ნახევრის მატარებელმა წინ ჩამირბინა, რომ მაშინვე ფეხით გამოვწიე. ექვსი კილომეტრი დიდი მანძილი არ არის, ღამეც კარგი და თბილი იყო... დაახლოვებით პირველ საათზე, როდესაც ჭექა-ქუხილი და წვიმა ასტყდა, უკვე ნადიმის ამბავს ვუამბობდი და დაბალის ხმით ველაპარაკებოდი ჩემს ცოლს, რომელსაც ძილი გაუფრთხა. აი ეს იყო მიზეზი, რომ დღეს დილაზე ასე დიდ ხანს დავყავით ლოგინში...

სიმონის ლაპარაკზე იმისი ცოლი კვლავ ატირდა; ქმარმა კიდევ მოჰხვია ხელი და ნუგეშისცემა დაუწყო, როგორც მამამ შვილს.

— კმარა, ჩემო ძვირფასო! დამშვიდდი. ჩვენ სინიდისს ვერას ვუსაყვედურებთ: საწყალი ბავშვი მთელის ჩვენის გულით გვიყვარდა და ისე ვეპყრობოდით როგორც საკუთარს შვილს.

ამნაირისავე აზრისა იყვნენ დამსწრენი. მერი დარასი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა სიმონს. მინოტსა და რუზერის ქალს, მართალია, ურიები ეჯავრებოდნენ, მაგრამ სიმონის შესახებ ყოველთვის ამბობდნენ, რომ სამაგალითოდ უჭირავს თავიო. დარჩნენ მარტო მამა ფილიბინი და ძმა ფულგენსი, რომელთაც ნეიტრალად ეჭირათ თავი და ჩუმად ყველას ზვერავდნენ, გულში უძვრებოდნენ. მოსამართლენიც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვდიადით მოცულ საქმეში, რომლის ასახსნელადაც კაცს ერთიღა უნდა ეფიქრა,—რომ ვიღაც უცნობი გადავიდა ფანჯრიდან, დაკმაყოფილდნენ ამ პირველ აღნიშნულ გარემოებებს. გამოირკვა მხოლოდ ის, რომ მკვლელობა ათის საათისა და თერთმეტის ნახევრის შუა უნდა მომხდარიყო; რაც შეეხება თვით შემაძრწუნებელ მკვლელობას, იგი ჯერ ჯოჯოხეთურის სიბნელით იყო მოცული.

მარკოზმა დასტოვა მოსამართლენი, რომელთაც ფორმალური წესები უნდა აღესრულებინათ, ძმურად გამოეთხოვა სიმონს და სასადილოდ შინ დაბრუნდა. სცენამ ქმარსა და ცოლს შორის მარკოზს ახალი არა მოუტანა-რა, რადგან იცოდა, რა გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი; მაგრამ იმათ ურთიერთობაში იმდენი სიყვარული და სიკეთე იხატებოდა, რომ მარკოზს მეტის მღელვარებით თვალებზე ცრემლები ჰქონდა მომდგარი. შუადღე დაჰკრა საათმა სენ-მარტენის ეკლესიაზე, როდესაც მარკოზი მეიდანზე იყო, სადაც იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ გზას ძლივს ირკვევდა. რაც უფრო ვრცელდებოდა მკვლელობის ხმა, ხალხი მით უფრო მოდიოდა ყოველის მხრიდან და აწყდებოდა ამ ფანჯრებს, რომელსაც ჟანდარმები ძლივს იცავდნენ. მითქმა-მოთქმა და ათასნაირად გადამახინჯებული ამბავი აღელვებდა და აჯანყებდა ხალხს. ის იყო მარკოზმა დააღწია თავი ბრბოს, რომ ერთმა მღვდელმა შეაყენა:

— სკოლიდან მობრძანდებით, ბატონო ფრომან? ნუ თუ მართალია ის საშინელი ამბავი, რომელსაც ლაპარაკობენ?

იგი იყო მღვდელი ქინადიო, სენ-მარტენის მოძღვარი, ასე ორმოცდა სამის წლის კაცი, მაღალი და ზორბა, მაგრამ სახით ტკბილი და კეთილი; თვალები მოლურჯო და წმინდა ჰქონდა, ლოყები მრგვალი ფუნჩულა ღაბაბით. მარკოზმა ქინადიო გაიცნო ქ-ნ დიუპარკისას, რომლის მოძღვარი და მეგობარიც იგი იყო. თუმცა მღვდლები ეჯავრებოდა, მაგრამ იმას პატივს სცემდა, რადგან თვით იგი სხვის აზრის პატივისმცემელი იყო და ამას გარდა კარგი გულიცა ჰქონდა.

ორიოდე სიტყვით მარკოზმა აუწერა საქმე.

— ოჰ, საწყალი სიმონ!—დაიწყო შებრალებით მღვდელმა:—რანაირი მწუხარე იქნება! ძალიან უყვარდა თავისი ძმისწული და კარგადაც ეპყრობოდა. ამის დასამტკიცებელი საბუთებიცა მაქვს მე.

ამნაირმა გულწრფელმა გათანაგრძნობამ ძალიან აამა მარკოზს, რომელიც კვლავ განაგრძობდა მღვდელთან ლაპარაკს; მაგრამ ამ დროს იმათ მიუახლოვდა მამა თეოდოსი, კაპუცინების უფროსი. ლამაზს, და წარმოსადეგს თეოდოსს მსხვილი, ცეცხლივით თვალები ჰქონდა; დიდი შავი წვერი მედიდურ შეხედულობას აძლევდა, ხმა ჰქონდა გავარდნილი — აღსარებას კარგად ათქმევინებსო. იგი ისეთი ორატორი იყო, რომ იმის ქადაგების გასაგონად მლოცველები თავის მტვრევით მირბოდნენ ეკლესიაში. თუმცა ჩუმად გულში მუდამ ომში იყო მღვდელ ქინდიოსთან, მაგრამ გარეგნობით პატივისცემასა და მორჩილებას უცხადებდა, როგორადაც უფრო ყმაწვილი და მწირი. მოსვლისთანავე იმან აღვიარა თავისი აღელვება და მწუხარება: საწყალი ბავში, რომელიც წინა ღამეს ეკლესიაში იყო, მღვდელს დაენახა. იმისი ლოცვა ისე მხურვალე იყო! ნამდვილ ცის ანგელოზს მოაგონებდა თავისს მშვენიერის ქერა და ხუჭუჭა თავით. მარკოზი მაშინვე გამოეთხოვა, როგორც გაიგონა პირველი სიტყვები თეოდოსისა, რომელიც იმას არცა სწამდა. ეჩქარებოდა შინ დაბრუნებას, მაგრამ ხელმეორედ ვიღაცამ მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და შეაყენა:

— ბიჭ-ს! ფერუ!.. საიდან გაჩნდით მელბუაში?..

ფერუ მასწავლებლად იყო მოროში, ჟონვილიდან ოთხის კილომეტრის მანძილზე, სულ განცალკევებულ სოფელში, რომელსაც თავისი მღვდელიც კი არა ჰყავდა და ჟონვილის მღვდელს კონასსეს ი სახურებდა. ფერუ ცოლითა და სამის ქალიშვილით მეტად ღარიბად და შესაბრალისად სცხოვრობდა; ფერუ ოცდა ათის წლისა იყო, ახმახი, მოუხეშავი, რომელსაც ტანისამოსი ყოველთვის მოკლედ ედგა ხოლმე. წაბლის ფერი თმა პურის თავთავსავით ჰქონდა ამოსული წოწოლა თავზე. კეხიანი ცხვირი, ტლოშები და გამოდგმული ასოები ჰქონდა; იმან თითქო არ იცოდა, სად წაეღო ტლაქი ფეხები და დიდრონი ხელები.

— თქვენ კარგად იცით, რომ ჩემ ცოლს მელბუაში ძალუა ჰყავს, ერთის მეწვრილმნის ცოლი. ჩვენ იმის სანახავად მოვედით. მაგრამ ეს მითხარით, რა სისაძაგლეა იმ ბიჭის, იმ საწყალ კუზიან ბავშვის გაუპატიურება და დარჩობა! აგერა, იმ მურტალ სამღვდელოებას შემთხვევა მიეცა თავში ჩაგვკრან ჩვენ, ბავშვების გადამრჯულებლებს.

მარკოზს იგი ჭკვიან ყმაწვილად მიაჩნდა, ფერუს ბევრი ეკითხნა, მხოლოდ თავის ხელ-მოკლე ცხოვრებით გამწვავებულ, უკიდურესს აზრებს დასდგომოდა და ყველაზე ჯავრს იყრიდა.

— როგორ თუ თავში ჩაგვკრავენ?—იკითხა მარკოზმა.— ჩვენ აქ რა შუაში ვართ?

— ერიჰაა, ყმაწვილი ჰყოფილხართ! თქვენ არ იცნობთ ამ მოდგამს, მალე დაინახავთ ამ ანაფორიან წმ. მამებსა და ძმებს, როგორ შეუდგებიან საქმეს... მაშ, ერთი მითხარით, ვინ დააგდო ხმა, რომ თვითონ სიმონმა გააუპატიურა და დაახრჩო თავის ძმისწულიო?

მარკოზი მოულოდნელად გაჯავრდა. ოღონდაც რომ ფერუ ძალიან შორს წაეყვანა ეკლესიის სიძულილს...

— ხომ არ გადირიეთ! სიმონზე ეჭვი არავისაც არ შეუტანია და ვერც გაჰბედავს ვინმე ერთს წამსაც იმაზე ეჭვის მიტანის. ყველა ერთ ხმად სამართლიანად აღვიარებს იმის პატიოსნებას და სიკეთეს. მღვდელმა ქანდიომ ეს არის ეხლა მითხრა, საბუთები ვიცი, რომ ის მამობრივ ყურადღებით ეპყრობოდა იმ საბრალო მსხვერპლსაო.

ფერუმ ისე გადიხარხარა, რომ მთელმა ტანმა ცახცახი დაუწყო და თმაც უარესად აებურძგნა ცხენის თავის მსგავს თავზე.

— ოღონდაც, რომ სასაცილო ხართ! თქვენა გგონიათ, ისინი ვიღაცა ურიას ხათრს გაუწევენ და მოერიდებიან? განა, ერთი ვიღაც ჭუჭყიანი ურია სიმართლის ღირსია? თქვენი ქანდიო და მთელი იმათი ბრბო იტყვიან იმას, რაც უნდა ითქვას. თუ საჭიროდ დაინახეს, რომ ურია იყოს დამნაშავედ, ჩვენც იმათ დავეხმარებით, ჩვენ ულმერთონი, უსამშობლონი, როგორც ისინი გვეძახიან და რომელნიც საფრანგეთის ახალგაზდობასა ვრყვნით!..

რადგან მარკოზი, გულ ნატკენი, პროტესტს აცხადებდა, იმან უფრო მკაცრად განაგრძო:

— მომისმინეთ! თქვენ ხომ კარგად იცით, რაც მორეოში ხდება? მე იქ შიმშილით კუჭი მიხმება, ყველას ვძულვარ, დამცირებული ვარ უფრო მეტად, ვიდრე ქუჩის რომელიმე საწყალი მგველი, რომელსაც გზებზე ქვებს ამტვრევინებენ... მღვდელი კონასსი, როცა წირვისთვის მიდიოდა, პირში შემაფურთხებდა ხოლმე, თუ-კი სადმე წინ შეხვდებოდი. მიზეზი ის არის, რომ მე უარი განვაცხადე, წირვაზე არ ვიგალობებ და არც ზარს დავრეკავ მეთქი; მე ხშირად საჭმელი პურიც არა მაქვს: ხომ იცნობთ მღვდელს კონასსა? თქვენ ჟონვილში იგი, ცოტა არ იყოს, ალაგმეთ მას შემდეგ, რაც მერი თქვენსკენ მიიმხრეთ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, თქვენ შუა გამუდმებული ომია და თუ ყოჩაღად არ ჰყოფილიყავ, შეგჭამდნენ კიდეც. მასწავლებელი ყველას ვირია, ყველას მოახლე, ყველაზე უკან მდგომი! იგი არავისთვის საჭირო არ არის: გლეხკაცობა გაურბის, მღვდლები მზად არიან ცეცხლში დასწვან, ოღონდ ყველგან კატეხიზმო გაამეფონ...

ასე მწარედ მოსთქვამდა იგი სკოლის მასწავლებლის სილატაკესა და ჯოჯოხეთურ ტანჯვას.

თვითონ ერთის მწყემსის შვილი იყო; იგი მუდამ გაჭირვებული იყო უფულობით, რადგან არ უნდოდა პატიოსნებისათვის ეღალატნა. შეირთო თავისთანავე ღარიბ მეწვრილმანის ქალი. ეს ქალი დაარსულა მელბუაში ყოფნის დროს, საცა მაშინ მასწავლებლის თანაშემწეობას ასრულებდა მხოლოდ. განა თვითონ მარკოზი, რომლის ცოლსაც იმისთანა დიდიდედა ჰყავდა, რომ მუდამ საჩუქრები მოსდიოდა, ძალიან ბედნიერი იყო ჟონვილში, სადაც მუდამ მოვალეე-

ბის მუქარასა და მღვდელთან ომში იყო, რომ როგორმე დაეცვა თავმოყვარეობა და დამოუკიდებლობა? საბედნიეროდ, ამას მხარს უჭერდა მასწავლებელი ქალი მაზელინისა, დამჯდარ გონებისა და დიდის გულის პატრონი; იგი სცდილობდა მიემხრო საბჭო და მთელი კომუნა. ეს სამაგალითო მოვლენა იყო, რომელიც ბედნიერმა გარემოებამ დაჰბადა. ის, რაც მელბუაში ხდებოდა, განა ნამდვილ სურათს წარმოადგენდა? რუზერის ქალი მღვდლებისა და ბერების ყურ მოჭრილი ყმაა, იგი მოსწავლეებს, სწავლის მაგიერ ეკლესიაში ატარებს და ისე კარგა ასრულებს მონოზნების მაგიერობას, რომ სამღვდელოებამ საჭიროდ აღარ დაინახა მელბუაში ქალების სკოლის დაარსება. თუნდ საწყალი სიმონი აიღეთ: მართალია, პატიოსანი კაცია, მაგრამ იმის შიშით, რომ „ჭუჭყიანი ურია“ არავინ დაიძახოს, ყველაფერზე ყურს იყრუებდა, თავის ძმისწულს წმ. ძმების სკოლაში სიარულის ნებას აძლევდა და თავსაც ძალიან დაბლა უკრავდა იმ კლერიკალებს, რომელთაგანაც ყველანი მოწამლულნი არიან.

— ჭუჭყიანი ურია!—დაასკვნა მკაცრად ფერუმ.—არის და ყოველთვის იქნება მარტო ჭუჭყიანი ურია! მასწავლებელი და ისიც ურია, სხვა რა გინდა? თქვენ ჰნახავთ, თქვენ ჰნახავთ!

მუქარითა და ხელების ქნევით ფერუ მირბოდა, და მალე ხალხში გაჰქრა.

მარკოზი გაშტერებული ტროტუარზე იდგა, გაოცებული მხრებს იწევდა და ჰფიქრობდა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო. სურათი, რომელიც ფერუმ დაუხატა, იმის აზრით, გაზვიადებული იყო. რა უნდა ეპასუხნა იმ საწყალ ადამიანისთვის, რომელსაც უბედობა იქამდის მიიყვანდა, რომ ჭკუაზე შეშლილიყო? მარკოზმა განაგრძო გზა კაპუცინების მოედნისაკენ. როგორღაც გამოურკვევლად აწუხებდა ყველა ის, რაც გაიგონა და მოისმინა.



ანანურის ეკლესია (აშენებულია მე-7 დე საუკ).

შუადღის მ...თხედი გადაცილებული იყო, როდესაც მარკოზი კაპუცინების მოედანზე თავის პატარა სახლში დაბრუნდა. ქალბატონები და ჟენევიევა უკვე 15 წუთი ელოდებოდნენ სასადილო ოთახში გაშლილ სუფრის წინ. მარკოზის ამნაირად ხილმეორედ დაგვიანება ქ-ნ დიუპარკს აბრაზებდა. თუმცა ხმა არ გაუცია, მაგრამ ისე მწყრალად შემოუჯდა სტოლს და ისე დაუწყო ხელსახოცს შლა, რომ აშკარად აგრძნობინა, რა დიდ დანაშაულობად ჩაუთვალა ეს მცირე დაგვიანება.

— ბოდიშს ვითხოვ თქვენგან.—დაიწყო ყმაწვილმა:— მოსამართლეებისათვის მინდოდა მომეცადნა და მოედანზედაც იმდენი ხალხი იყო, რომ ძლივს დავაღწიე თავი.

დიდიდედამ მაინც ვერ მოითმინა და უნებლიედ წარმოსთქვა:

— იმედი მაქვს, თქვენ მაგ საზიზღარ საქმეში არ ჩაერევით!

— რა! აკვირველია, არა!—უპასუხა მარკოზმა.—მეც იმედი მაქვს, რომ არ დამჭირდება ჩარევა თუ, რასაკვირველია, მოვალეობამ არ მიმიწვია.

პელაგიამ ამ დროს ჩამოარიგა ერბო-კვერცხი, მერე შემწვარი ცხვრის ხორცის ნაჭრები. მარკოზი ამ დროს დაწვრილებით უამბობდა იქ მყოფთ მკვლელობის ამბავს. ჟენევიევა, შიშით ათრთოლებული უსმენდა; იმისი დედა ძლივს იმაგრებდა ცრემლებს და თან მალვით ქ-ნ დიუპარკს გადაჰხედავდა ხოლმე, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის სიჩუმით უკმაყოფილებას აცხადებდა და თან ძალიან მადიანად მიირთმევდა სადილს. ბოლოს სთქვა:

— კარგა მახსოვს, ჩემს ყმაწვილობის დროს ბომონტში ერთი ბავშვი დაიკარგა. მერე იპოვნეს ოთხად აკუწული სენმარტენის ეკლესიის შესავლის კარებში; მარტო გული აკლდა. ბოროტ მოქმედება ურიებს დააბრალეს და ხმა გაავრცელეს, რომ ბავშვის გული ურიებს სააღდგომო პასექისათვის უნდოდათო.

მარკოზი თვალებ გაჭყეტილი შესცქეროდა.

— თქვენ უთუოდ ხუმრობთ დიდიდედა! თქვენ ხომ არა გჯერათ ეგ სულელური ცილის წამება?

ქ-ნმა დიუპარკმა გადაჰხედა თავისის ცივითა და წმინდა თვალებით და ორპირად უპასუხა:

— მე მარტო დიდის ხნის ამბავი მომაგონდა. რაღა თქმა უნდა, მე ბრალს არავისა ვსდებ...

ამ დროს პელაგია, რომელსაც დესერტი მოჰქონდა, თამამად ჩაერია ლაპარაკში:

— ქალბატონი კარგა ნებულობს, რომ ბრალს არავისა სდებს. ყველა ისე უნდა მოიქცეს, როგორც ქალბატონი... ამ მკვლელობის შემდეგ მთელი უბანი აჯანყებულია. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი ხმები დადის! მე თვითონ გავიგონე, ერთი მუშა გაჰყვიროდა, წმ. ძმების სკოლა უნდა გადავწვათო!..

დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. პირველ გაგონებაზე მარკოზი შეკრთა, მაგრამ ისევ მალე შეიკავა თავი, რადგან გაჩუმება არჩია. პელაგიამ თავის ახალ ამბავს დაუმა... ა:

— ქალბატონო, ხომ მომცემთ ნებას ნაშუადღევს საჩუქრების დარიგებას დავესწრო? თუმცა, როგორცა ვფიქრობ, ჩემი ძმისწული, პოლიდორი, არაფერს მიიღებს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა დავესწრო. ოჰ, წმ. კეთილ ძმებისათვის დღევანდელი დღესასწაული მხიარული აღარ იქნება, რაკი საუკეთესო მოსწავლე მოუკლეს იმათ...

ქ-ნმა დიუპარკმა თავის დაქნევით ნება დართო. ამის შემდეგ სხვა საგანზე ჩამოვარდა ლაპარაკი და თ ნ პატარა ლუიზას კისკისმა, რომელიც აქამდის გაოცებით შესჩერ...ებოდა დედმამის შეწუხებულ სახეს, ცოტა არ იყოს, ყველანი გაამხიარულა. ცოტა ხანს შემდეგ ისეთი სიმშვიდე ჩამოვარდა, რომ მთელი სახლობა ტკბილად ბაასობდა.

ნაშუადღევს ძმათა სკოლაში საჩუქრების დარიგებას დიდის ამბით დაუხვდნენ. ამოდენა ხალხი დღესასწაულს ჯერ არ დასწრებოდა. ის გარემოება, რომ ამ დღესასწაულს თავმჯდომარეობდა თვითონ მამა ფილიბინი, ვალ...არის გიმნაზიის წინამძღოლი, სულ განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა დღეობას. აქ იყო .გრეთვე ამავე გიმნაზიის რექტორიც, მამა კრაბო, მ ღალ საზოგადოებაში დიდად გავლენიანი და მძლავრი კაცი. რექტორს უნდოდა საჯაროდ პატივისცემა გამოეცხადებინა ძმათათვის. ამათ გარდა დაესწრო დეპუტატი, რეაქციონერი გრაფი ჰექტორ დე-სანლებეფი, მდიდარი მებატონე, მესაკუთრე მშვენიერ მამულის დეზირადისა, რომ. ლიც მზითვად მოჰყვა იმის ცოლს, მდიდარ ურიის, ბანკირის ბარონ ნათანის ქალს.

უფრო კი ყველას აინტერესებდა და აღელვებდა ის საშინელი მკვლელობა, რომელიც ამ დილით მოხდა; ამიტომ მოაწყდა ხალხი კაპუცინების მოედანს, სადაც ჩვეულებრივ სიჩუმე და სიწყნარე იყო ხოლმე. იმ ხალხში, რომელიც შეჯგუფებულ სკამების რიგში ისხდა იმ დროს, როცა მამა ფილიბინი ქებას ასხამდა სკოლას, დირექტორს ფულგენს და სამს იმის თანაშემწეს—ძმებს ისიდორს, ლაზარიუსს და გორგიას, ყველას მარტო ის აგონდებოდა, რომ აქ აღარ იყო საწყალი ბავშვი, მოსწავლე ამ სკოლისა, გაუპატიურებული და დახჩობილი. აღელვება უფრო დაეტყო ხალხს მაშინ, როდესაც გორგიასი წამოდგა იმათ გვარების წასაკითხავად, ვინც დაასაჩუქრეს, გორგიასი გამხმარი კაცი იყო, დაბალი და მკვახე შუბლი ჰქონდა, შავი ხუჭუჭა თმა, დიდი წკვერტიანი, ქორის ნისკარტის მსგავსი ცხვირი, გამხდარ ლოყებს შუა სქელი ტუჩები და მხეცური კბილები. ზეფირინი ხომ საუკეთესო მოსწავლე იყო კლასში, იმას ყველა საჩუქრები ჰქონდა მიცემული! იმის სახელს შეუწყვეტლად ახსენებდა ძმა გორგიასი, რომელიც თავის გრძელ შავ ანაფორასა და თეთრად გადაკეცილ საყელოში ისე წყნარად და მგლოვიარე ხმით ამბობდა ამ ბავშვის სახელს, რომ საზოგადოებას ჟრუანტელი უვლიდა. ყოველ ხსენებაზე პატარა მოკლული ბავშვი თითქო წინ ესახებოდა საზოგადოებას, რომ მიელო მინიჭებული გვირგვინები და მოვარაყებული ყდიანი წიგნები, რომელნიც უპატრონოდ სტოლზე ეწყო. ეს გვირგვინები და წიგნები ჯილდოდ მიეცა სამაგალითო მოსწავლეს, რომლის წამებული გვამიც იქვე, ორ ნაბიჯზე ეგდო; ყოველივე ეს მაყურებელს გულს უკლავდა. ზოგი ისე აღელდა, რომ საზოგადოებაში ქვითინი გაისმა. გორგიასი კი მაინც იხსენიებდა ამ სახელს, თან ჩვეულებისამებრ ტუჩს ზემოდ იწევდა და აჩენდა თეთრს კბილებს. იმის სახეზე თითქოს დაცინვა, გესლი და ულმობელობა იხატებოდა.

დღესასწაული ძალიან სამწუხაროდ დაბოლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულს დიდი და ბრწყინვალე საზოგადოება დაესწრო, რითაც წმ. ძმებს თავი მოსწონდათ, მაინც ყველას თავს რაღაც შემაწუხებელი ფიქრი და შიში დასტრიალებდა, რომელიც შორიდან მუქარით მათკენ მოდიოდა. გამოსვლის დროს საშიშ მდგომარეობაში იყო საზოგადოება, რომელსაც ესმოდა ყრუდ გამოთქმული უკმაყოფილება და ბუტბუტი მოედანზე თავმოყრილ მუშებისა და სოფლელებისა. ამ ბრბოს აღელვებდა შემაძრწუნებელი ხმა, რომელიც ხალხში დადიოდა და რომელიც პელაგიასაც გაეგონა. ყველას მოაგონდა ის საზიზღარი ამბავი, რომელიც ამ ერთის წლის წინად ერთს წმ. ძმას ჩაედინა და რომელიც უფროს ძმებს ჩაეფუჩეჩებინათ, იმისი ჩამდენი სადღაც გაექროთ, რომ მსაჯულებს ხელში არ ჩავარდნოდა. მასუკან ყოველ გვარი საზიზღარი ხმები დადიოდა ამ სკოლაზე; ამბობდნენ, რომ დაშინებული ბავშვები ამ სკოლაზე ვერაფერს ამჟღავნებენო. რასაკვირველია, ეს ამბები თან-და-თან იზრდებოდა და ვრცელდებოდა; ამიტომ ამ მოედანზე თავმოყრილი ხალხი მეტად აღელვებული და გულმოსული იყო ამ ახალის ამბის გახსენებით. გაისმოდა შურისძიების მუქარა და თან-და-თან აშკარა ხდებოდა, ვისკენაც იყო მიმართული ეს მუქარა. „ნუ თუ ეხლაც ხელიდან გაუშვებენ დამნაშავეს? ნუ თუ ეხლაც არ დახურავენ ამ უწმინდურ სახლს, რომელსაც მძორის სუნი ასდისო?“ გაისმოდა აქეთ-იქიდან. ხოლო როდესაც ბრწყინვალე საზოგადოება გამოვიდა, როდესაც გამოჩნდნენ მღვდლები და ბერები თავიანთ ტანისამოსში, მუქარა გაორკეცდა; მოისმოდა ლანძღვა-გინება და წყევა-კრულვა, ბრბო სტვენით და ყიჟინით მისდევდა შეშფოთებულ და გაფითრებულ მღვდლებს კრაბოსა და ფილიბინს. ძმა ფულგენსმა კი სკოლის კარებები მაგარის ურდულებით დააკეტინა.

(შემდეგი იქნება)



ბანკირი ეუბნება ქურდს, (რომელმაც ძლივს გააღო რკინის ზანდუკი და შიგ კი ფული ვერ იპოვა).—აჰა თხუთმეტი მანეთი, თუ ღმერთი გწამს არსად არა სთქვა, რომ ზანდუკი ცარიელი იყო.



ბელა. უკაცრავად, ქალო, თქვენ ტანისამოს გახდილი ხართ, თუ ბალის ტანისამოსი გაცვიათ?...



დაგვიანებული გულახდილობა

— ღმერთო ჩემო, განა არა, ვიცოდი, რომ ცოლის შერთვა უბედურება იყო!

— მაშ რაღად შემირთე?

— მე, სულელს, მეგონა უარს მეტყოდი.



კაცი.—ეგ ქალი, ეტყობა, თქვენი მეგობარია?

ქალი.—დიახ, სიყრმიდგანვე.

კაცი.—მაშ თქვენ გეცოდინებათ—რამდენი წლისაა.

ქალი.—უკაცრავად მაგისთანა საიდუმლოს ვერ გამოვამჟღავნებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Декабря 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. „ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.